სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/06

(ოქმი N6)

ქ. ბათუმი 20 მაისი 2020 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) პროგრამული პრიორიტეტების პროექტები გამოქვეყნებული იქნას არაუგვიანეს 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge);

3. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიის ნაწილში) 2020-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge);

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქყვეყნების დღიდან;

5.გადაწყვეტილება ძალაშია 2020 წლის 20 მაისიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი